ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1163553

ნომერი: AR1200090

თარიღი : 26.02.2014

გაცემის თარიღი : 13.03.2014

გაცნობის თარიღი : 18.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის26.04.2005 წ. #1095 არქიტექტურულ-გეგმარებითდავალებაშიცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 26.02.2014 წ. #AR1200090 განცხადებით მომართა მაია რჩეულიშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 26.04.2005 წ. #1095 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 26.04.2005 წელს ქალაქ ლუბლიანასა და ბელიაშვილის ქუჩებს

შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.13.01.004.054 (ფართობი: 7324 კვ.მ.) არსებული კარკასის რეკონსტრუქცია-დაშენებისა და საზოგადოებრივი ობიექტის ასაშენებლად მომზადდა #1095 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალება.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 26.04.2005 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #1095 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალება გაცემულია „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 01.08.2001 წლის #8-13 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც სამშენებლო პასპორტში უნდა აისახოს ცვლილებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში შეიტანოს ცვლილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 01.08.2001 წლის #8-13 გადაწყვეტილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 26.04.2005 წ. #1095 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში, საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 26.04.2005 წ. #1095 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.13.01.004.084 ფართობი 7324 კვ.მ);
3. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 26.04.2005 წ. #1095 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში დაფიქსირდეს შენიშვნა:
   - ავტოსადგომების რაოდენობა უნდა განისაზღვროს საცხოვრებელი ბინების რაოდენობის შესაბამისად;
   - პროექტის შეთანხმების სტადიაზე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის ყველა მესაკუთრის თანხმობა, შეთანხმებული პროექტის ცვლილებისა და დამკვეთად მოქ. მაია რჩეულიშვილის დაფიქსირების თაობაზე;
   - დაცული იქნეს საჯარო რეესტრში დაფიქსირებული ვალდებულება (თუ ეს ეხება ახალ მშენებლობას);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას 2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 26.04.2005 წ. #1095 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.